

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
სახელმწიფო საპროექტო-კონსტრუქციო საბანკო
სიტუაციის მართვის სამსახურის
სსიპ სახელმწიფო რეზერვის და სამოქალაქო
უსაფრთხოების სერვისების სააგენტო



MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
STATE SUBORDINATE ENTITY - EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE
LEPL STATE RESERVES AND CIVIL
PROTECTION SERVICES AGENCY

02/07/2024



MIA 9 24 01984673

შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის
დირექტორს, მახირ ზაირამოვს

ბატონო მახირ,

თქვენი, მიმდინარე წლის 19 ივნისის №1828556 განცხადების საფუძველზე, განხორციელდა ქ. მარნეულში, 26 მაისის ქ. N80-ში მდებარე შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის (ს/კ 434172584) სახანძრო-ტექნიკური შემოწმება.

2024 წლის 02 ივლისის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების (გამოკვლევის) N280 აქტის შესაბამისად დადგინდა, რომ ქ. მარნეული, 26 მაისის ქ. N80-ში მდებარე შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის შენობა-ნაგებობის დაკავებული ფართის, ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს.

დანართი: 4 (ოთხი) ფურცლად

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეყნებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური
სსიპ-სახელმწიფო რეზერვის და სამოქალაქო
უსაფრთხოების სერვისების სააგენტო
სააგენტოს უფროსი /დეპარტამენტის თავმჯდომარე/
ფანცულაია ზაზა



**სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის
სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის
აქტი № 280**

თბილისი

02-07-2024

ობიექტის დასახელება: შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი

ობიექტის მისამართი : 26 მაისის ქ. N80 მე-4 სართული (მარნეული)

საიდენტიფიკაციო ნომერი: 434172584

ობიექტის მფლობელი/მესაკუთრე: შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი

ობიექტის ხელმძღვანელის სახელი, გვარი, პირადი ნომერი: მახირ ბაირამოვი, 28001008448

შემოწმებაში მონაწილე ობიექტის წარმომადგენელი: დირექტორი მახირ ბაირამოვი

ობიექტის შემოწმების განმახორციელებელი ზედამხედველობის ინსპექტორ(ებ)ი:

- გიორგი ვარდოშვილი - უფროსი ინსპექტორი
- ლევან ქეშელაშვილი - ინსპექტორი
- ჯუნა ირიაული - უმცროსი ინსპექტორი

შემოწმების თარიღი : 02-07-2024 დან 02-07-2024 მდე

ობიექტის შემოწმების საფუძველი : შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს სამსახურებრივი ბარათი N1965011 01/07/2024

ობიექტის შენობა-ნაგებობები რაზედაც ჩატარდა სახანძრო-ტექნიკური შემოწმება გამოკვლევა: 26 მაისის ქ. N80 მე-4 სართული შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი (N83.02.18.604.01.505) (N83.02.18.603.01.513)

ჩატარებული სახანძრო-ტექნიკური შემოწმების (გამოკვლევის) საფუძველზე შედგა წინამდებარე აქტი:

1. ობიექტზე (შენობა-ნაგებობა) სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესრულების ანალიზი და შეფასება:

(აღინიშნება სახანძრო უსაფრთხოების საორგანიზაციო ღონისძიებათა, ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული დოკუმენტების, ბრძანებების, ინსტრუქტაჟების შესაბამისი ინსტრუქციების და სხვათა არსებობა. შესაბამისობა ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან.)

- ობიექტის ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ, თანამშრომლების სამუშაოდ დაშვების პროცესში გათვალისწინებული/უზრუნველყოფილი იქნას, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №370-ე დადგენილების ტექნიკური რეგლამენტის „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“ მოთხოვნების შესრულება.

- თანამშრომლებთან ჩასატარებელია სწავლება სახანძრო უსაფრთხოების წესების შესახებ, ხანძარსა და სანაღმდეგო ინსტრუქტაჟის ჩატარების გზით;

- ობიექტზე დასანიშნია ხანძარსა და სანაღმდეგო დაცვის სისტემების ტექნიკური საშუალებების ეფექტური მუშაობის უზრუნველსაყოფად ხანძარსა და სანაღმდეგო დაცვის სისტემების ექსპლუატაციაზე, ტექნიკურ მომსახურებაზე, მათ

შეკეთებაზე, დაცვასა და გამოყენებისათვის მზადყოფნაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი;

-ობიექტზე შესამუშავებელია ხანძრის პირობებში ევაკუაციის უზრუნველყოფისათვის პერსონალის მოქმედების ინსტრუქციები;

-ობიექტზე ჩასატარებელია ნახევარ წელიწადში ერთხელ ხანძრის დროს თანამშრომლების მოქმედების გავარჯიშება, შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ყველა ელემენტის გამართული მუშაობის შემოწმების პარალელურად;

-შენობის საევაკუაციო გზებზე/გასასვლელებში და ცეცხლმაქრების განთავსების ადგილებში გამოსაკრავია საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ერთიანი სატელეფონო ნომერი „112“.

2. ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების არსებობა და შეფასება:

(აღინიშნება ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების არსებობა და შესაბამისობა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან)

- შენობა სრულად დაკომპლექტებულია ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით "ცეცხლმაქრებით" ზღვრული დასაცავი ფართობისა და სათავსის ტიპის გათვალისწინებით, რაც შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

3. ობიექტის (შენობა-ნაგებობა) საევაკუაციო გზებისა და გასასვლელების შეფასება:

(აღინიშნება ობიექტის საევაკუაციო გზებისა და გასასვლელების შესაბამისობა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან)

- ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად, უზრუნველყოფილი იქნას შენობაში არსებული საევაკუაციო გასასვლელი კარების გაღების შესაძლებლობა შენობიდან გასვლის მიმართულებით, რაც არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს;

- კიბის უკრედი N433-ოთახთან გასაწმენდია სამშენებლო მასალებისაგან, რაც არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს;

4. ელექტრომონყობილობების და ელექტროქსელების მდგომარეობის შეფასება:

(აღინიშნება ელექტრომონყობილობების და ელექტროდანადგარების მონყობის შესაბამისობა ნორმატიულ მოთხოვნებთან, ელექტროქსელების მონტაჟის და ექსპლუატაციის მდგომარეობა და სხვ)

- შენობის ელექტრო მონყობილობების და ელექტროქსელის ზოგადი მდგომარეობა აკმაყოფილებს ელექტროდანადგარების მონყობის წესებს;

5. კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის და გათბობის სისტემების მდგომარეობის შეფასება:

(აღინიშნება სავენტილაციო კამერების, მზლუდავი კონსტრუქციების, არხების, ჰაერსატარების ცეცხლმდეგობის ხარისხის, გაყვანისა და მონტაჟის, აგრეთვე თბომავენერიბელი სისტემების მონყობის შესაბამისობა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან)

- ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად, ობიექტს არ ესაჭიროება კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემის მონყობა;

6. სახანძრო სიგნალიზაციის მდგომარეობის შეფასება:

(აღინიშნება სახანძრო სიგნალიზაციის საჭიროება, მდგომარეობა, მისი ექსპლუატაციის წესების დაცვა და შესაბამისობა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან)

- შენობაში დამონტაჟებულია ზონალური ტიპის სახანძრო სიგნალიზაცია, რომელიც მუშა მდგომარეობაშია და აკმაყოფილებს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს. სახანძრო სიგნალიზაციის მართვის მიმღებ-მაკონტროლებელი პულტი განთავსდეს სათავსში, სადაც მიმდინარეობს ოცდაოთხსაათიანი მორიგეობა და გამოკრული იქნება ინსტრუქცია ხანძრის შესახებ სიგნალის მიღების და მორიგეს მოქმედების წესის შესახებ, რაც არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს;

- ხელოვნური დაკვამლიანების იმიტაციის მქონე სახანძრო სიგნალიზაციის გამოსაცდელი ხელსაწყოს დახმარებით შერჩევითი პრინციპით გამოცდილი იქნა კვამლზე მორეაგირე დეტექტორები და ხელის ღილაკები, გააქტიურებული დეტექტორების და ხელის სახანძრო ღილაკების სიგნალები მართებულად იქნა აღქმული სახანძრო სიგნალიზაციის მართვის პანელზე, რაც შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

7. ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობის და ევაკუაციის მართვის სისტემების მდგომარეობის შეფასება:

(აღინიშნება ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობის და ევაკუაციის მართვის სისტემების საჭიროება, მდგომარეობა, მისი ექსპლუატაციის წესების დაცვა, საევაკუაციო განათების არსებობა და მდგომარეობა, ხანძრის დროს ადამიანთა ევაკუაციის გეგმების არსებობა, საევაკუაციო გზების მანიშნებელი ნიშნების არსებობა. შესაბამისობა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან)

- ობიექტზე დამონტაჟებულია ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობის და ევაკუაციის მართვის სისტემა, რომელიც მუშა მდგომარეობაშია, რაც აკმაყოფილებს სახანძრო უსაფრთხოების წესების მოთხოვნებს;

- შენობაში მონყობილია „საევაკუაციო გზის“ მიმართულების მაჩვენებელი მანათობელი ნიშნები, რაც აკმაყოფილებს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს;

- ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად, შენობის საევაკუაციო გზებზე დამონტაჟებულია ავარიული განათება, რაც აკმაყოფილებს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს;

- შენობის საევაკუაციო გზებზე გამოკრულია ხანძრის დროს ადამიანთა ევაკუაციის გეგმები, რაც აკმაყოფილებს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს;

8. ობიექტის ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემების მდგომარეობის შეფასება:

(აღინიშნება ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემების საჭიროება, არსებულის მდგომარეობა, მისი ექსპლუატაციის წესების დაცვა და შესაბამისობა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან)

- შენობას არ ესაჭიროება ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის მონყობა.

9. ობიექტის ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების შეფასება:

(აღინიშნება შიდა და გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების სისტემების მდგომარეობა, საჭიროება და მათი შესაბამისობა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან)

- ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად, შენობაში მონყობილია შიდა სახანძრო

წყალგაყვანილობის სისტემა. სახანძრო კარადები დაკომპლექტებულია სახელოებითა და ლულებით, შემონმების დროს სისტემა იყო გამართულ მდგომარეობაში;

- რაც შეეხება გარე სახანძრო წყალმომარაგებას, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად შენობის მიმდებარედ არსებობს გარე სახანძრო ჰიდრანტი, რომელიც აკმაყოფილებს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს;

10. აფეთქებახანძარსაშიში ნივთიერებათა შენახვის პირობების შეფასება:

(აღინიშნება აფეთქებახანძარსაშიში ნივთიერებათა შენახვის პირობები და მათი შესაბამისობა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან)

- შემონმების დროს ობიექტზე აფეთქებახანძარსაშიში ნივთიერებები არ ინახებოდა;

შემაჯამებელი შეფასება ობიექტის შესაბამისობის შესახებ:

შეესაბამება

არ შეესაბამება

ზედამხედველობის ინსპექტორი:

ხელმოწერა

გიორგი ვარდოშვილი



ლევან ქეშელაშვილი



ჯუნა ირიაული

